F 24/1887

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი

საყოველ-ყვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა № 3 იანვრის 25.

გაზეთის ფასი: ერთის წლ. **5** მ., ნახ. წლ. **3** მ., ცალკე ნომ. **15** კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში **რედაქ.** კანტორაში. თელავში ბესარ. კალანდაძესთან. **ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის:** Тифлисъ, въ редакцію газеты „**ТЕАТРЪ.**“ **გაზეთი ისყიდება:** თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ნიდიან ყურთან: ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში. ქუთაისში: ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვეით უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს **რედაქცია** შეასწორებს. **რედაქცია** არა კისრულობს **წერილების** უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

ყოველ **წერილში** უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

„თეატრის“ კანტორა უმოკრძილესად სთხოვს ბბ. ხელის მომწერელთ დაეშურონ ფულის გამოგზავნა. ვინც ამ თვის 29-მდის არ წარმოადგენს ფულს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ლ ე ქ ს ნ ი

მზე და მთვარე

(გოტიუდამ).

გაკადნიერდა მზე მეტად
და დაეკითხა მთოვარეს:
„ვით არა გრცხვენის უმანკო
„დიაცს დამ-დამე მოარეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა თბილისი

„ამოსდგალ-როცა ყველანი
„მაგრა იკეტენ თვის სადგურს
„და დედა მტირალ ბადანას
„ნანინას“ უმდერს საამურს;

—

„როცა მსოლოდ-და ღამისა
„ჰეჰელა მიმოფრიალობს
„და აღტაცებით მგოსანი
„ზღვის ჰირას დასტიალობს.

—

„მაგ შენმა ქცევამ სხვებსაცა
„წაბაძვის თავბრუ მოჰგვარა—
„სხვა ვარსკვლავებმაც ჯგუფ-ჯგუფად
„მოჰფინეს ცისა კამარა.

—

„სხვა რომ არ იყოს-მას ვშიშობ
„და მე იმასა ვჩივიო—
„სურდო შეგსვდება... ღამ-ღამით
„ნიავი იცის ციფიო.

—

მთვარემ მიუგო: „შენ რა გრჯის,
„ან ნეტავ რასა სჯავრობ?
„—რჩეულთვის მადლობელი ვარ,
„მაგრამ ბევრს მეტი ჩარობ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო თ ხ რ ო ბ ა ნ ი

ნამდვილი ქოროწინება.

(გაგრძელება.)

ერთს საღამოს ოკტომბრის თვის დამლევს ორივე ცოლ-ქმარი ისხდნენ აივანზე და ყავასა სვამდნენ.

ის იყო ბნელდებოდა. ქალაქის ზემო ნაწილში კიდეც დანთეს ფანრები. მორანჟისმა მოჰხვია ხელი თავის ცოლს და მიიკრა გულზე. შემოდგომის სურათის ღრმა ნაღვლიანობა თითქო შეერთდა მის გულის სიმწარესთან. მორანჟისს რაღაც ავადმყოფური მოუსვენრობა ეტყობოდა... უცებ ცრემლები გადმოსცვივდა.

— ზიყვარვარ თუ არა ქანიკო? შეცრად ჭკითხა მორაჟინსმა, თითქო ჯერ არასოდეს არ გაეგონოს მისგან სიტყვა: „მიყვარხარ“.

— მიყვარხაროო? მიუგო ქანამ მომხიბლავის ღიმილით და შემდეგ ათრთოლებულმა და გაწითლებულმა განაგრძო:

— თქვენ ხელმწიფეო გიყვარვართ მე ცოტა მაინც თუ არა?—ძალიან შემცდარი იქნებით რომ ახლა მე არ გიყვარდეთ. მე ვხლა უნდა გიყვარდეთ და მიცქერდეთ ისე კი არა როგორც ერთს სულს, არამედ როგორც ორს.

მორანჟისს რაღაც უსიამოვნების ჭრუანტელმა გაუარა მთელ სხეულში, თითქო ვისმე რაიმე ცუდი ამბავი ეთქვას და ათრთოლდა. ის ნაღვლიანად უყურებდა თავის ქანიკოს სიშვენიერეს, რომელსაც მწუხარების ნისლი გადაჰფარებოდა. ზული ეწოდა რა ჰხედავდა, რომ თავის ცოლის თეთრ პირის სახეს რაღაც სევდის კვალი ანნდა; ხედავდა მის ჩაღამებულ თვალებს, გამხდარს და მოწყენილს სახის მამომეტყველებას. ქოველისფერ ამაებს თვალით ხედავდა და გული ეთუთქებოდა. მორანჟისმა კარგათ იცოდა ყველაფერი ამისი მიზეზი რაც იყო; იცოდა ისიც რა მწარე დღე მოელოდა მის ქანიკოს ამ მოკლეს დროში. მორანჟისს კარგათ წარმოდგენილი ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობიარე დედა-კაცის მდგომარეობა და ეს უფრო აწუხებდა მორანჟისის გამოუცდელს გულს. ჭანიკო კი სულ სხვა ოცნებას გაეტაცნა: იმას წარმოედგინა მშვენიერი ჭრელი აკვანი, შიგ მწოლიარე ყმაწვილი, აქეთ-იაქეთ ფარდები ჩამოშვებული და მწოლარე ბავშვის მომხიბლავი ტიკტიკი: „მამა“ „დედა“.

რამოდენიმე თვის შემდეგ ოთხ'მაფათ დღეს იგრძნო ჭანამ მუცლის ტკივილი.

მორანჟისი სამსახურში იყო. აღშფოთებულმა და სრულიად გაშტერებულმა უცებ მიირბინა შინ. უნდოდა შესულიყო პირ-და-პირ იმ ოთახში, სადაც მისი მშვენიერი ჭანიკო იწვა, მაგრამ უცებ ჩაუკეტეს შიგნიდან კარები. მორანჟისი მაინც ვერ შეაკავეს: დაუწყო ექიმს ხან თხოვნა, რომ ოთახში შეეშვა, ხან მუქარა, მაგრამ სულ ტყუილათ—კარები მაინც არაფერ გაუღო.

— თუ გნებავსთ, რომ თქვენი ცოლი ეხლავე მოკვდეს—შემობრძანდით—გამოსძახა ოთახიდგან ექიმმა.

ამ სიტყვებმაც ცოტა არ იყო შეაჩერეს მორანჟისი. ბამობრუნდა მაშინვე უკან და ჩაჯდა სავარძელში, რადაც ცივებ-ცხელებიანივით დაიწყო თრთოლა. მორანჟისი თვითეულს ხმაზე, რომელიც იმ ოთახიდგან გამოისმოდა, სადაც საწყალი ახალგაზდა ქალი წვალობდა, შეხტებოდა და ცახ-ცახებდა. ოთხი საათი გავიდა, რაც მორანჟისი ამნაირ მდგომარეობაში იყო და თავის ცოლის მორჩენას ელოდდა. შემდეგ შეწყნარდა ყველაფერი, მხოლოდ ბუზების მზუილი არღვევდა ამ სიჩუმეს. უეცრივ კარები გაიღო და ქალ. ოსიუნემ ათრთოლებულის ხმით გასძახა სიძეს: მოდით, მოდით ჩქარა!

ბაშტერებული მორანჟისი შეეარდა ოთახში და შემდეგი სურათი დაინახა: ექიმი ახალ დაბადებულ ყმაწვილს ახვევდა ტილოებში და დედა კი ისევ „სულს ბერავდა“ ფარდები ფანჯრებზე ჩამოფარებული იყო, ოთახში და ბნელოდა მძიმე ჰეარი იყო მშობიარეს გარშემო. ერთ ადგილას რაღაც ბავშვის გამოსახვევი ტილოები ეკიდა, მეორეს—საინი იდგა რაღაც წამლებით და ერთ ბალიშზე იწვა მისი მშვენიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანიკო, რომლის თეთრი პირის-სახე შავი თვალ-წარბით არ გამოირჩეოდა წმინდა სანთლის გაკეთებული პირის-სახისგან. ერთი სიტყვით ქანი—ის ქანი, აღარ იყო, რომელმაც ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ასე დაბრმავა ბედკრული მორანქისი. მორანქისი დაეცა მუხლებზედ ტახტის წინ, მიიკრა ტუჩებში ქანოს ციცი ხელები და ქვითინებდა. ექიმი და ოსიუნე ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ

— ბგავს შენ თუ არა, ჩემო მებობარო? ჰკითხა მომაკედავმა ქანამ. აი ხედავ რა ბედნიერი ვართ კიდევ!

ამ სიტყვების თქმის დროს ქანი ისეთი დასუსტებული იყო, ისე დათვლილი ქონდა სიცოცხლის დღე, რომ ეს ხმა ისე მოისმოდა, როგორც შორიდგან.

— ხომ გეყვარება შენ ეს ბაშვი! ჰა?.. ისე როგორც... მე... ცოცხალი...

აქ კიდევ წაიბუტბუტა რაღაც გაუგებრათ.

— ნუ სტირი ჩემო მორანქისო; მე ახლა სრულებით არაფერი მტკივა. აი ეხლა მთლათ განთავისუფლდი...

მკლესიაში შუადღის ზარებს რეკავდნენ, როდესაც სიკვდილის სხივი გადაეფარა ქანას პირის სახეს.

— ბახსოვს როგორ რეკავდნენ იმ ზარებს ჩვენი ქორწინების დროს?

ჰკითხა მორანქისმა.

ქანას წარბები აუთამშდა რაღასაც თქმა უნდოდა, მაგრამ... ხელები აუძაგძაგდა და გაუცივდა, როგორღაც საზარლათ გაანკალა, თავი გადიქნია-გადმოიქნია და... იქით გადაბრუნდა, თმა გვედზედ გადიყარ-გადმოიყარა — და თითქოს დაიძინაო... მეიცა საუკუნო განსვენებას.

მორანქისი დარჩა გაქვავებულივით. ქალბ. ოსიუნე მიეარდა სიძეს კარში გასაყვანად; უნდოდა მოეშორებინა მკვდარი ქანოსათვის.

— დამანებეთ თავი! თავი დამანებეთ! შეცრათ დაიყვირა მორანქისმა. მომეცალენით ყველანი აქედგან. წაათრიეთ ეს ბაშვი, დღეის შემდეგ თვალით აღარ დამანახოთ.

სთქვა ეს და გიჟივით წამოვარდა ზეზე—გამორეკა კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში სიდედრი და ექიმი. როდესაც ყველასაგან განთავისუფლდა—მკვდარი მიიკრა გულში.

მთელი ღამე მორანჟისმა ამ ნარი გიჟურ მდგომარეობაში გაატარა. თუმცა სიდედრი და ექიმი ბევრსა სთხოვდნენ თავი დაენებებინა, მაგრამ იმათი სიტყვები ვითომცა არც კი გაუგონია. ვერვინ ვერ გაბედა სახლში შესვლა და მორანჟისის გამოყვანა.

მეორე დღეს საღამოს მოიტანეს კუბო, ძალით შეამტვრიეს კარები, შეეიდნენ, და ნახეს რომ მორანჟისი ჩაჰკონებოდა თავისს უკვე გახრწნილს ცოლს და ცოცხალ-მკვდარი აიყვანეს.

III

სამი თვე მორანჟისი საავადმყოფოში იწვა და წამოდგა თუ არა ფეხზე მობრუნდა ისევ იმ ბინაზე, სადაც პირველად გაიცნო ცხოვრების გემო. თავის გრძელი სამხედრო შინელში გახვეულმა დიადარა ყველა ოთახები. სისუსტისაგან ძლივს დგებოდა ფეხზედ. ამის შემდეგ მორანჟისს იშვიათად ნახამდა კაცი კარში გამოსულს. მისი შემქცევი და ნუგეშის მცემელი მხოლოდ სიდედრი და თავისი „დენშიკი“ ღა დარჩა. ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე საწყალი მორანჟისი—გარეთ აივანზედ ერთათ ქანასთან ყავის სმას, მოესმოდა სასტუმროდგან ფორტოპიანის ხმა, რომელსაც მიუჯდებოდა მისი მშვენიერი ქანა და დამღერიოდა მნიარულის კილოთი სხვა და სხვა ლექსებს. ეს ყველაფერი ნათლად უხატავდა მორანჟისს თავის ქანიკოს პირისახეს.

მივიდოდა იმ ოთახის კარებთან, საიდგანაც ქანას უკანასკნელი „მიშველეს“ ძახილი გამოისმოდა. შეხედავდა ხოლმე იმ ტახტს, რომელზედაც განისვენა მისმა ქანამ, შეუწუხდებოდა გული და დაბნედილი და დანაღვლიანებული დაეცემოდა სავარძელში. პატარა ხნის შემდეგ ისევ მიეარდებოდა ტახტს და ეუბნებოდა თავის თავს: „რათა ვარ მე კიდევ ქვეყანაზე ცოცხალი, რატომ მაშინვე არ მოვიკალ თავი ჩემ ქანიკოსთან და სხვ. ბოლოს თვალ-ცრემლიანი მივარდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახის კარებს, ჭკრა წიხლი და შეამტვრია—ნახა ლოგინი იმავე მდგომარეობაში, როგორც დატოვა თავისმა ქანამ, ქანას სურათი გარშემორტყმული იყო მშვენიერი სუნელოვანი ყვავილებით და ქვეეთ იდგა აკვანი მშვენიერის და ბრწყინვალე სახის ყმაწვილით, რომელსაც ამოეშვა ხელები და თავისუფლად ეთამაშებოდა აკვანზე ჩამოკიდებულ მძივებს. სიდედრმა გადახადა თეთრი ტილო და აჩვენა სიძეს თავისი შვილი.

— ხედავ რა მშვენიერება არის მორანჟისო თქვენი შვილი. დედასა ჰგავს შვილო!

ერთმა ყმაწვილის შეხედამ რაღაც სევდის კვალი დაჩნია მორანჟისს სახეზე და საშინლად მოაწყინა. რაღაც მხეცურმა, ჰაზრმა გაუელვა თავში. ის გაშტერებით უყურებდა თავის ცოლის სურათსაც, რომელიც ვარდებით იყო დაფარებული და აკვანსაც, სადაც მშვენიერი ბაშვის პირისსახე აბრწყინვალებდა ოთახს.

საშინელი ოხი იყო მის გულში. შეეძლო თუ არა მორანჟისს არ მიეცა სიტყვა ქანიკოსთვის, სიკვდილის დროს, რომ მის შემდეგ ბაშვი ეყვარებოდა?.. შეეძლო თუ არა, აღარ აესრულებინა ის სიტყვები, რომელიც ქანამ ჩაწყვეტილის ხმით სიკვდილის დღეს უთხრა: „გეყვარება ბაშვი თუ არა!?“

მაგრამ ამავე დროს მორანჟისს მოაგონდებოდა ხოლმე ის ცეცხლ მოდგმი დროც და უფრო ცხადათ წარმოიდგენდა ხოლმე ყველაფერს თვალ-წინ. საწყალი მშობიარე ქალის კვილი, მისი სხეულის თახთახი, მისი მაყვალსავით შავი თვალები ნათლად ეხატებოდა ბეღკრულ მორანჟისს თვალ-წინ. იქამდის მიაღწია ამ ნაირი ფიქრებით მორანჟისმა, რომ ყველაფერი, რასაც ის წინეთ დიდის სიყვარულით და სიამოვნებით უყურებდა—გახდა მისთვის რაღაც ძნელი შესახედავი, საზარელი; თითქმის სიყვარული მისთვის ბოროტებათ გარდაიქცა. სიდედრი კი მაინც თავის საქმეს ასრულებდა მიიყვანდა ხოლმე მორანჟისს აკვანთან და აცქერინებდა ყმაწვილის ანგელოზებრივ ღიმილისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ არ ჰკოცნი შვილო, რომ ე მაგისთანა შვილი გყავს! შეხრა ერთხელ სიდედრმა მორანჟისს, მაგრამ მთლათ გაყეთილდა ჯაერით, როდესაც შემჩნია სიძის პირის სახეზე რაღაც უსიამოვნების ჩრდილი.

— ეგ იყო ჩემი ცოლის მკვლელი, წარმოსთქვა მკაცრის წყრომის ხმით, მაგან მოჰკლა ჩემი ქანიკო და ამის დაეიწყება ჩემთვის შეუძლებელია!

სთვა ეს მორანჟისმა და გიჟივით გამოვარდა აივანზედ.

სიდედრი თუმცა ხშირად ხედავდა ამ ნაირ შემთხვევას, მაგრამ მაინც არ ეარდებოდა სასოწარკვეთილებაში. მორანჟისის სიდედრს ძლიერ უყვარდა თავისი შვილი-შვილი და აღზარდა კიდეც, ასე რომ მთელი ოჯახობა თითქმის მარტო ამ ქალის კისერზე ტრიალებდა: ჯერ მოუკვდა ქმარი, შემდეგ თავისი სული და ხორცი—ქანიკო და ბოლოს დროს ქანას ყმაწვილი უდედ-მამოთ დაგდებული მის საჭირ-ბოროტოთ გახდა.

ძ. ოსიუნე ყოველს დღეს იჯდა შინ მარტოდ და ფიქრობდა, რა უნდა უყო მე საწყალმა ქალმა, რომ უცეფ გაგიქებული მარანჟისი მოვარდეს ჩემთან და ჩაიდინოს რამეო. ამ მწუხარების ფიქრშია ერთხელ, როდესაც შემოვარდა შინ მორანჟისი და სთხოეა სიდედრს, რომ იგი მასთან გადასულიყო საცხოვრებლათ. სიდედრს ძლიერ გაეხარდა სიძის ამ ნაირი მოქმედება, მაგრამ ეს საიდუმლო ფიქრები მაინც არ ასვენებდნენ ქალბ. ოსიუნეს.

ერთ მშვენიერს დილას გადიტანეს ქალბ. ოსიუნეს ყოველ-გვარი ოჯახის აეეჯულება მორანჟისის ბინაზე.

მოსცილდა ქალბ. ოსიუნე იმ კარდინალის ქუჩას, საცაც გაატარა სიყმაწვილის სანატრელი დღეები.

პირველ დღეებში ძლიერ პატივს ჰსცემდა მორანჟისი თავის სიდედრს. მზათ იყო მორანჟისი სიდედრის ყოველ-გვარი პატიოსანი მოთხოვნილება აღესრულებინა. ყოველთვის ერთად სადილობდნენ სიძე სიდედრი, მუსაიფობდენ ტკბილათ ყოველიფერზე, მაგრამ მორანჟისის შვილზე კი არასოდეს სიტყვაც არ წამოსცდენ ადათ ხოლმე, რომელიც ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ძიძასთან იყო გაბარებული. ძალბ. ოსიუნე ხშირად დადიოდა თავის შვილის-შვილის სანახავად და როდესაც ფეხზე სიარული დაიწყო ბავშვმა, მაშინ დღეში ორჯერ-სამჯერ ნახამდა ხოლმე. მთელი დღე ბაშვი ტიტინემდა რაღასაც. ბეერის სირბილით ფეხები სელ დაკაწრული ჰქონდა და როდეეცემოდა ერთს უშველებელ ხარხარს აიტეხდა. ბებიაც მივარდებოდა ხოლმე ჩაისომდა კალთაში და კოცნით იკლავდა სიყვარულის სურვილს. ძალბ. ოსიუნემ ვეღარ გასძლო უშვილი-შვილოთ და ძიძიდგან შინ მოიყვანა. იმ დროს როდესაც მორანჟისი სამსახურიდგან შინ მოდიოდა პირველად შეხვდა მას კარებში თავისი შვილი. ყმაწვილმა მხიარულის თვალებით შეხედა მამას, უთხრა „გამარჯობა ბაბამა“! და გაუგზავნა ჰაერის კოცნა. მამა შეკრთა უცებ; ბავშვმა კიდეე გაუმეორე ეს სიტყვები; მორანჟისმა რაღაც ბორიტულათ ჩაიცინა. ბაჯაერდა, მხრები ზევით აიწია და შეეარდა თავის ოთახში. ბავშმა დაიწყო ღრიალი, რადგან მარტო დატოვეს. როდესაც ქალბ. ოსიუნემ აიყვანა—ხმაც აღარ გაუცია მისთვის გარდა ორი სიტყვისა:

— ბანა ბებიავ, ის კაცი ჩემი მამა არ იყო??!

ბებიამ ამაზე პასუხი ვეღარ მისცა. ამნაირმა ბავშვის კითხვამ ის მთლათ დაკარგა, გაასწორა მიწასთან. ძ. ოსიუნე ამ დროს ისე გრძნობდა თავის თავს, როგორც რაიმე ნანგრევების ქვეშ მომწყვდეული და დამტვრეული.

IV

ამ დღიდგან მათი ყოველ დღიური ცხოვრება შეიცვალა. მორანჟისმა უთხრა თავის სიდედრს: მომაშორე ეს ბავშვი აქედგან თორემ სიცოცხლე გამიმწარდებაო. ოსიუნემ გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე აიყვანა ყმაწვილი, ერთს მივარდნილ ოთახში ჩაუკეტა კარები და ჰყვანდა დაკეტილში. მორანჟისი ამის შემდეგ როცა კი სამსახურს გაათავებდა, შინ აღარ მოდიოდა. იქვე ახლოს იყო ერთი ყაეახანა სადაც ყოველ დღე განუწყვეტლივ დადიოდა და დღე და ღამ სულ ლოთობაში ატარებდა. ხშირად ნახამდნენ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგები მთლათ უგრძნობელს იატაკზე დაგდებულს. Uრ-ჩევდნენ კიდეც, რომ ასე არ გაფუჭებულიყო, მაგრამ სულ ამაოდ. Iქამდის მიაღწია მორანჭისის სილოთემ, რომ ხშირად სრულებით უგრძნობელი ეგდო ხოლმე ქუჩებში. როცა ცოცხალ-მკედარი წამოვიდოდა ბინაზე თვალ-წინ ნათლათ წარმოუდგებოდა ხოლმე მისი Uანიკო, თითქო საიქიოდგან სთხოვდა რაიმე Uველს, თითქო სთხოვდა ეპატიებინა პატარა ბიჭისთვის თავისი Uეცდომანნი. წარმოიდგენდა მთვრალი ყველა ამას და ელაპარაკებოდა მარტო თავის თავს.

Iელისის დამდეგი იყო, როდესაც მორანჭისი უგრძნობლათ დამთვრალიყო და მიდიოდა ბინაზე. საშინელი სიცხე იყო. Uინ არ შესულა; დაჯდა აივანზედ და მიეცა რაღაც სულელულ ოცნებას. რამოდენიმე საათი უგრძნობელათ იჯდა; უცებ, თითქო რაღაც საოცარი ჩვენება ნახა. მერმე დაიწყო ხელები გულზე ჯვარადინათ, თითქო რაღაცას ფიქრობსო, Uემდეგ გაიძრო ჩექმები და ქურდულათ Uეიპარა იმ ოთახში, სადაც მისს Uვილს არხეინათ ეძინა ლოგინში. Uეცრივ გადახადა საბანი, აიყვანა ხელში და აივანზედ გამოიყვანა. Bაგშვმა როგორც უცებ გამოღვიძებულმა დაიწყო ძაგძაგი და Uეაკვიტა თვალები უცნობ პირს. Bოროტი Bორანჭისი Bოეშზადა Bაგშვის წყალში გარდაგდებას, მაგრამ Bაშმა ცალი ხელი კისერზედ Bოხვია და ცალიც Bუნდირს წაეალო.

Bოლოს როგორც იქნა გაიშორა ყმაწვილის ხელები და Uეუბრალებლათ ისროლა Bჩქეფარე Bდინარეში, ყმაწვილმა ერთი „ვაის“ დაყვირებაც ვერ Bოასწრო...

Aხლოქუჩებში არაფერი ხმაურობა არ ისმოდა, Bხოლოდ ფარნები აკკუტდნენ თვალებს, თითქოს დამხრჩვალ ყმაწვილს ეძებენო. Qამის გუშაგი დადიოდა აქეთ იქით, როდესაც ერთი რაღაც გრძნობიერი „ხარხარი“ გაისმა. Iს გახლდათ Bორანჭისის Uვილის დახრჩობის Uემდეგ. Bორანჭისმა პაპიროსი გააკეთა და „ვითომ აქ არაფერი ამბაეიო“ Uებრძანდა თავის საწოლ ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს საწყალი ბაშვის ოთახში მარტო საბანი ღა ნახეს, რომელიც გადმოვარდნილიყო და ძირს იატაკზე ეგდო. ასე გათავდა ამ შეყვარებულების ცხოვრების ღღენი.

დ. ყვირილა
1883 წ. 21 აგვისტოს.

***

დაგჰკარგე, სატრფოს დაგეძებ,
მარგალიტია ლალები,
კალმითა დახატულია
ლოყაზედ ამის სალები.

—

ტუნ-კბილი გაწყობილი აქვს,
ვიშრის ტბას უგავს თვალები,
იმისი ცალი ამ ქვეყნად
არაგინ არის ქალები

—

ეეძებდი ეერსად ვიპოვე
ხელ ქმნილი დაგიარები,
მირჩიეთ საით მოვეძებნო
ეთერის შესადარები.

—

ვაიმე აგერ ქაჯსა ჭეავს
ის ჩემი გულის სწორია
უშნოდ უჯიკვნის გულ მკერდსა
ჩაუსვეია ტორია.

თეატრის მუშა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკლე ბიოგრაფიული ცნობანი.

ედმუნდ კინი (*)

(ვუძღვნი საყვარელს არტისტს კოტე ყიფიანს.)

„უდიდესი არტისტი იგი არს კაცნი დიადია სასცენო—დრამატიულ სულოვნების უმწყვრვალეს წერტილებში“.—ასე იწყობს გამოჩენილი მეცნიერი ჯონ ლიუსი ერთ-ერთს თავის რეცენზიაში გამოჩენილი ინგლისის არტისტზე ედმუნდ-კინზე და მართლაც, დიდი არტისტი იგია, კინც დიდად ჭსტავს უდიდეს ადამიანის გრძნობათ, თუნდაც რომ ლუტალებში—წერილმანებში არტისტი მოგვებული იყვეს ჯერჯან გამოსახულების საშუალებას ანუ ტიდნას.

ეთელი ბოსიერი ადამიანი კაცს და ნიჭს ადამიანს არა მისი ნაკლულოვანებით, არამედ ღირსებით და ამ ღირსების რაოდენობით.

ამის კვალობაზე თუ შეუდგებით ედმუდ-კინის დაფასებას იგი უეჭველად შირველს ადგილს დაიჭერს ეველა გამოჩენილთა არტისტთა გუნდში. ედმუნდ-კინი იყო ერთი უდიდესთაგანი არტისტი მთელს ევროპაში.

ჩვენ, შარშან გამოჩენილი არტისტი დავით ჭარიეი ტოტლებენთან გავაცანით პატივცემულ მეთხველებს. დავით ჭარიეი დიდი ნიჭის პატრონი იყო და ამასთანავე ფრიად განვითარებული და ნასწავლი კაცი, სოდო ედმუნდ-კინი სრულებით მოკლებული იყო სწავლას და განვითარებასაც. ედმუნდ-კინმა პატარაობიდანვე დაიწყო სცენაზე მუშაობა და სწავლისა არც იმდენი სალი ჭონდა და არც დრო. სწორეთ ასეთივე განსხვავებას ვხედავთ ორ გამოჩენილ არტისტთა შორის ბედ-იღბალში და როგორც თვითონ კინი ამბობდა: „სიტყვასდის სიტყვობაში ძალებშიაც“.

(*) რადგან ეხლა-ხან წარმოადგინა ქართ. დრამატ. საზოგადოების დასმა ალ. დიმას პიესა: ედმუნდ-კინი, ამიტომ ჩვენ გვგონია რომ უადგილო არ იქნება ამ გამოჩენილი არტისტის მოკლე ბიოგრაფია გავაცნოთ პატივცემულ მეთხველებს.

ავტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვეთ ჭარბრიკი არასდეს არ ეოფილა გაწერილებში და თავის სიცოცხლეში არ უგრძნია და არც გაუგია, რას ქმნიან შიმშილ-წყურვილს; გამოვიდა იგი სცენაზედ თუ არა, მაშინათვე გაკვრდა მისი სახელი, იგი ერთბაშად მიეკუთულ იქმნა სუეეთესო ინგლისის სახოგადოებაში: ყველა გამოჩენილთა და არისტოკრატთა კარები შედამ ღია იყო ჭარბრიკისათვის, ყველა გამოჩენილ მწერლებთან და სწავლულებთან ახლო და მეგობრული კავშირი ჭქონდა, ეროის სიტყვით ყველანი კარს ეხვევდნენ, ყველანი ეტრფიალებოდნენ ვით კეკლუც ქალსა, ხოლო ედმუნდ-კინმა ნახვევარი თავისი სიცოცხლისა გაატარა საშინელ და განუწყვეტელ ტანჯვაში; შრომა და ზაბანწყვეტა დღიური სარჩოსათვის ედმუნდ-კინს ხშირად უწამლავდნენ სასსლს და მოსვენებას, მისი ჯოუტი ბედი ხან სად გადისვრიდა მას და ხან სად. არც ბატონი, არც უურადღება, არც ტაბადი სიტყვა არ ურასასაკს და გაუგია კინს, თუმცა დიდი ხანი მოღვაწეობდა სცენაზედ.

სოზოგადოთ-სამსასური სცენაზედ მეტად უმადური შრომაა და ედმუნ-კინი მუდმივი ამეგობარ გტეუდებან გაჩნა იმულებული უნდა ეოფილიეო სცენისათვის თავი დაენებინა, და სხვა კაცი, რომ ეოფილიეო ო	ს დაანებებდა კიდეც, მაგრამ ედმუნდ კინმა თავის შეუდრეკელის სასიათით და ნიჭის წყალობით სძლია ეოველეეე. რაც კი გზას უდობაკდა თავის სასურველობაკენ.

ედმუნ-კინი სიცოცხლე მეტად საყურადღებო და საგულისხმოა, როგორც ნიმუში აშუიათის სასიათისა, როგორც ბრძოლის მაგალითი ნიჭის და ბეჭერეკებისშორის.

ედმუნდ-კინი დაიბადა ლონდონის შუა გულში ქუჩელ-სტრიტის ქუჩაზე, 1787 სელსა 4 ნოემბერს. მამა მისი იყო „პეტიორი“, ხოლო აგტორობა მისი განსაკუთრებით ტრეგედიაში და ბალადებსა ეიყო დამკვიდრებული. ენდმუნდის სიყმაწვილე მეტად ძნელი და სამწუხარო. მუდმივი გაწერეკა, შიმშილ-წყურვილი და განუწყვეტლივ ქუჩა-ქუჩა სეტიალობა. ი ესენი იყვნენ ბაწია ედმუნდის ბირველი მასწავლებელნი. ბაწია ედმუნდ დღიურის სარჩოსთვის იმულებული იყო ათას ნაირად ტანის და სხეულობის მტკერეკის და ჯამბასობას მიჭდგოდოდა და ამ მტკრეკით და ჯამბასზურის გრესიაობით ბაწია ჯამბასს სრულებით გაუფუძდა ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სიდიდითა, ბერის სხვა სრულიად დაუმსგავსებდა, მეოლვი ფესვები და გვერდები სუშინდოთ გაუმრეულდა. დაინახე თუ არა მეობლებმა, რომ ბავშვს ტანის სიდიდითა ეკარგებოდა და მანინდებოდა, მოიწყალინეს შეტდომის გასწორება, მაგრამ დრო უკვე წასული იყო. რა არ მოაგონეს შეიდის ტანის გასასწორებლათ, სან რკინის რეოდებით, სან კოროსტეთ ატარებდნენ საწყალს ეტაწვიდს, მაგრამ ვერაფერმა ვეღარ უშველა და ედმუნ-კინს სამუდამოდ დაჩნდა ტანის სიმრეული. აქ ისიც უნდა მოგიხსენოთ, რომ თუმცა ედმუნდ-კინი პატარობისას ჯანმაბი იყო და მისი მამა აარონ კინს ბალაკანი ეგონა, მაგრამ ედმუნდი ოთკედთვინ ამას ეეირობდა: მე დიდი ვარ ის კაცი ვარ, მამა ჩემი პატივ ისდილი ჭერეოგია ნორეოლკის შოამამავლობიდამა.

ვალიკოი.

(გაგრძელება იქნება).

ფრიელ აკოსტა

(გაგრძელება).

მოქმედება მესამე.

(ოთახი მანასეს სახლში, ამსტერდამში, მორთული ფერადებით და პატარა-პატარა ფიტეტუებით).

გამოსვლა პირველი.

მანასე (ზის საწერ სტოლთან და ანგარიშობს).

ახ! წყალზედ მდგარი ბედნიერება
დიდხანს ვერ გასძლებს! აი ეწერ აქა
ტიფრებსა, ტიფრებს სიუფრადღებოს,—
ერთი ტანდა კი რომ დაეკვასოა
მათ სულ წალეკვს!... სხანს გასწორება
ანგარიშისა შესაძლო არის
ნავთისუფალეში და მხოლოდ მასში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ადგება, ოთახში გაივლის და სტოლიდამ სხვა წიგნს აიღებს).

ამ წიგნის კითხვა მე უფრო მიყვარს:
სურათის, სტატუების, ბაგელიონების
და შადრევნების სახმო ჩქრიალს
აქ მოუყრია დამიზად თავი,
მაგრამ ძალიან, მეტად ძალიან
ძვირად ვრიან დაფასებულნი!...
რას დაბრაკობთ სურათის ფასზედ
და არ მოგწონთ, რომ მის დამსტეკი
თვის შრომას მეტად ძვირად ეფასებს...
თითოს სურათსა თქვენ ეიდლობდეთ
ღირსებისა-ებრ!... ვრა, სურათში
ჩვენ არ ვეფასებთ ვრც ფერს, ვრც ტილოს,
ვრც დრახა, მაზედ მოხმარებულსა,
ასე გასინჯეთ, ვრც თვით გენიას,
რომელმაც სურათს შთაბეჭდა სული,—
ვრა, ჩვენ ვაძლევთ სურათში ფასსა,
მისთვის რომ მარტო ჩვენ გვეკუთვნოდეს,
და მარტო ჩვენს, განუოფლად
გსტებოდეთ ამის მშვენიერებით!

(მივა ერთს სურათთან და აშტერდება).

ოჰ, რა მაღალი, ტებილი გრძნობაა—
იტოდე, რომ შენ... შენ ერთს ტკბუთვნინს,
რომ ბრმა ცნობისა მოუკრებისთვის
შენს სახლში ვრენ დაიწყებს ტქრახს
და რომ ებედი და უკიტი ვინმე
მეუდრეოებსა ვრ მოგეწვიდეს!...
ვრა, ქვეყნად ვრ მოიპოვება
ამაზედ ტებილი, მაღალი გრძნობა!...
აქ, სადაც ფეელა მარად და მარად
ამეოდება, ამას მხატკარი
შეჭქმნის ერთხელ და სამუდამოთა.
და ის, ვითარცა ბულბულის სწორი,
წმინდა, უზაკეო, შეუმწიკეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა
2022-01-01 09:55

მე მეკუთვნება, მარტო მე მხოლოდ!...
ეს ვაუბატონი კი მოჭყოლიან
რაღაც ტიფრებზედ აქ სუბარსა!...
(მივა ისევ იმ სტოლთან, რომელზედაც ანგარიშის წიგნები აწყვია).
მაგრამ ესენი კით დაკიეწეო,
რომ ანგარიში სწორე არ არის?...
ოჭ, ზრუნვავ! ნეტა მე კვლად რადის?.. (ჩაფიქრდება).

ბაკოსცენა მეოთხე.

მანასე, ივდით, შემდეგ სვიმონ.

ივდით (მტირე სნის სიჩუმის შემდეგ).

მე შენ დაგიქებ, მამა, და გერსად
კერ მიპოვიხარ, ითქოს შენს სახლში
დაკარგულიეო. ასთან ხარ აგრე
დადგებული...

მანასე

შენ მხოლოდ აგრე
გგონია; ოორემ აგრე არ არის.

ივდით.

იქნება დაშერი მსგავრად შეწირვისგან?
მერე რამდენი შესწირე იგი
შენ ამ დღეებში...

მანასე.

თვითონ შენც იცი:
შვილო, ჩვენ სხვათა უბედურებით
ბედნიერნი ვართ...

ივდით.

ის, ვისაც სხვანი
შეერწუნებულნი ერიდებიან,
ის, ვისაც არ აქვს შესვლისა ნება
იმ სახლში, სადაც მის დედა ცხოვრობს,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ შეიფარე, მხოლოდ შენ იგი...
შენ მას აფარავ ფანატიკოსთა
მძვინვარებისგან, შენს სახლში ჭმალავ
და... და ამაზედ უარს არა ხარ
გაიხადო ის საყვარელ შვილად!—
თქვენ ბევრნი გულ-ცივ კაცადა გთვლიან;
სხვის გული ამით ქვასა ჭვრეტიათ...
ოჰ, რომ ნახონ მათ შენი გული
ასე შემბრალდო!

მანასე.

აგრე ძრიელად

ნუ აქებ, შვილო, მოხუცს მამაშენს.
მე შევიფარე აკოსტა სახლში
არა ამისთვის, რომ მე მინდოდა:
საზღვადო წესს ვინც ეურნება
ის ამას დროს არ შემეფარდება.
მაგრამ ის შენთვის ძვირფასი არი,
შენ აღვიარე მის სიყვარული
ოჯოლის ზდილობის მიუხედველად...
აღარც კი მინდა მოვიგონო მე
იგი ამბავი...

ივდით (იქით)

მე კი მით ვცოცხლობ!

მანასე.

ეგელამ იცის, რომ ურიელს მიგცემ,
რომ კვლესიას შეურიგდება.
რათაც კარ, შვილო, ასე გულ-ჩვილი
ეგ ხომ შენც იცი...

ივდით.

ვიცი. ამისთვის

რომ გვაბრალებ შენ შენი შვილი
და არ გინდა რომ წინა აღუდგე
შენს მამობრიულს და კეთურს ურჩობას!

საქართველოს სახელმწიფო თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანასე.

ოჰ, არა, იყდით, შემცდარი ხარ შენ.
მე თუმცა ხალხი არ მეჯავრება,
მაგრამ არც ეჯავრე ძალ მაყვარან.
მე რა მხრითაც გაკიცან ხალხი,
იძულებულ მეო სხვა დაბეგვიწყა
და ქვეყანაზედ მეცხოვრა მხოლოდ
ჩემის თავისთვის. ამ ხუთმეტის წლის
წინად—შენ მაშინ ბავშვი იყავი—
ერთს მშვენიერს დღეს გაკარდა ხალხში
სმა, რომ „ანასე კანდარტრატენი
კუტრი არისო!“ და ეს ამბავი
ბარეის კედელზეც გამოაცხადეს.
ცრილ სიტყვით ნუგეშს ბევრს მცემდნენ.
საქმით კი არავინ დამმარებია
შე ამა დროსა...

იყდით.

დედა ჩემო, მამა?

მანასე.

ღმერთმა მის სულსა იქ განუსვენოს!
მან გამამხნევა, მომცა იმედი,
და ჯერეთ ისევ ცოცხალი იყო,
რომ გამობრწყინდა ჯვარვ ჩვენი ბედი,
ის მიიცვალა ბედნიერათ,
დასტუტებული იმ მმიმე ტვირთით,
რომელსაც იგი დიდსანს ზიდავდა
უგულ-ულმობელ ქვეყნის წინაშე!
ოჰ, ჩემზედ კარგად კინ იცის, შვილო,—
ეს თვით ჩემს თავზედ გამომიცდია,—
რომ უნდა ჭმონდეს ეოველსა კაცსა
იმედი მხოლოდ თავის თავისა,
სხვა მისთვის თავსა არ კინ შეიწუენს
და არ გამოგა ხალხთან საბრძოლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მან თავის თავის ბედნიერება
თავისი შრომით თვით უნდა ჭეროს
და თუ რომ ვინმე მეუშველება,
ის ან ცოდი, ან შვილი იქნება.
ასეთი კაცი რა შრომას რჩება
ჩემსაკით სასლში ეკუურება,
კარს ჩაიკეტავს და მხოლოდ მაშინ
დაიწყებს ბუნგვა, როცა ნიმდეილი
ტროვრება კარეს დურაკენეს...

სვიმონ (შემოდის)

დე-სიდვა უთქვამს შეგატეობინოთ,
რომ ამ წამშია იგი ჯ მოვა. (გადის).

ივდით.

სიდვა?

მანასე.

დიდ... ვოსტა სადაა?

ივდით.

ჯ ამაღება, როგორც უბრძანეთ...

მანასე.

რაო, ასლაც კიდევ იჯავრებს
ასაღგაზდობა ჩვენ მოხუცებზედ?
არც კი მიკვირს, რომ კიდევაც სთქვათ,
რომ ჩვენ ვშლით თქვენსა ბედნიერებას?
ურიელს სიდვა მეარვლადა ჭეგვს,
ის შეარიგებს მას რაბინებთან
და დაუმშვიდებს გულს იოხანის,
რომ არ ანთოს შური. ვოსტას
ჯ დაუანე!

ივდით.

შენ ჩემო კარგო
და სუკარელო კეთილო მამა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, რომ შემეძლოს დიდი რამ ღვაწლი.
ჩაგიდინო მე. მრცხვენიან სწორედ
სხვა ამაგს მდებდეს და მე არაფერით
გუსდიდე...

მანასე.

წადი და დაუძახე

შენს მეგობარსა.

ივდით.

მაშ შენ იმასა

ნუ დაუსვდები განგებ გულ-ტიკვდ...
შენ გიფერს ბრწყინვა ხელოვნებისა;
და შენის სულის სიბრწყინვალესა
რადად არ ანჩენ? იგი ხომ უფრო
ბრწყინვალე არი... (კადის)

მანასე (თავდს გაადევნებს მას).

„ოჰ, რომ შემეძლოს
დიდი რამ ღვაწლის ჩადენა მეო!“
მას კი, ვინც მის გულს არ მოიგებდა—
შეიძულებდა... აი სიდვაცა.

(გაგრძელება იქნება).

დრამატიული ხელოვნება.

გრიმი, ტანსაცმელი და სამკაულობა.

(გაგრძელება).

როდესაც აქტრისა არდგენს იმისთანა ტიპს, რომელიც ფერ-უმარილს ხმარობს, მაშინ ცალი ლოყა უფრო უნდა გაიწითლოს.

საზოგადოთ მოთამაშე ფერ-წასმული უნდა იყოს რადგანაც სცენიდამ არა სჩანს ბუნებრივი სითეთრე და სიწითლე ადამიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურების სილამაზის და სიცხოველისათვის საჭიროა რომ ყურების ბიბილოები წითლათ შეიღებოს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ხელებს. ძალიან ხშირად ხდება, რომ აქტორი სცენაზედ გამოდის ხოლმე მშვენიერის და ლამაზის გრიმით და ხელები კი მზვარეულს მიუგავს, ეს დიდი უმეცრება და დანაშაულობაა. აქტორმა კანონათ უნდა დიდოს ყოველი ფარდის ახდის დროს, ხელები დაიბანოს და გაისუფთავოს. ხშირად ხელებს უმარილით ითვრებენ, მაგრამ ეს ცუდი ჩვეულებაა: უმარილი და პუდრი აუცილებლად ტანთსაცმელზედ გადადის, მეტადრე შავზე, მაშასადამე უმარილი ტანთსაცმელსაც აფუჭებს და შთაბეჭდილებასაც.

მე არაფერი არ მითქვამს წარბებზედ, რომელნიც გრიმში პირველს როლს თამაშობენ. წარბებზედ არის დამოკიდებული ტიპების ხასიათი; მაგალითად:

ანჩხლი კაცის წარბები. Cხვირთან მუდამ აწეულნი არიან.

ვნებიანი, მხნე და შეუდრეკელი კაცის წარბები-შეერთებული.

გულ-ჩვილი და გულ-კეთილი კაცისა-წვრილი და მოღუნული.

მრისხანე და კერპი კაცის წარბები სქელია და თვალებზედ გადმოწოლილი.

სულელსა და ბრიყვსა წარბები თითქმის არც კი ეზრდებათ და თუ აქვთ ძალიან ცოტა.

ჭკვიანი და ბაძნილი წარბები-წვრილი და სწორეა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტუჩების და პირის ზომიერებას, მაგალითად:

გულკეთილი, პატიოსანი კაცების ტუჩები ყოველთვის სხვილია ხოლმე.

ბაძნილი, ბაიძვერა კაცის ტუჩები მუდამ წვრილია და უფერო.

ავაზაკებთ, დაუდევართ ტუჩები და პირი ყოველთვის დიდი აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულელთ და რეგვენთ კაცის პირი ყოველთვის დიდი და გაღებული აქვთ.

როგორც უკრასკოთ და უფერ-უმარილოთ აქტორს არ შეუძლიან სცენაზედ გამოსელა, ისე უპარიკოთ არ შეიძლება თამაშობა.

პარიკს თავისი ხასიათი და მნიშვნელობა აქვს გრიმში და მეტადრე ტიპისათვის. **ყ**ოველს ხასიათს და ტიპს თავისებური პარიკი უნდა, ზოგი ახალგაზდაა, ზოგი თმა ხუჭუჭი, ზოგი ძელოტი, ზოგი ჭაღარა და სხვა. **ბ**არდა ამისა არიან ესრედ წოდებულნი კლასიკურ-ისტორიული და ნაციონალური პარიკები. **ყ**ველას თვითეულად მათგანს სცენაზედ როლის ხასიათის და გვარად უნდა ხმარება.

ამთან გარდა არის აგრეთვე პარიკები კომიკური, ეოდეილისა, ფარსისა, დრამისა და ტრაგედიისა. **აქ** ჩვენ ვერ დავასახელებთ დაწერილებით და არც შეიძლება, რადგან არის ას-ასი პიესა და ათი-ათასი როლი, ყველას თავისებური პარიკები უნდა. **აქ**ტორს უნდა დიდი დაკვირვება, როგორც გრიმში, აგრეთვე მომეტებულად პარიკების ხმარებაში.

საჭიროა რომ აქტორმა დაახლოვებით იცოდეს ის დრო და ეპოქა, რომელსაც ეკუთვნის მისგან წარმოსადგენი ტიპი და იმ დროის შესაფერად გაიკეთოს პარიკიც. **ყ**ოველს დროს თავისებური, სახასიათო მორთვა აქვს და ამ უკანასკნელ გარემოებაზედ არის დამოკიდებული პარიკის ხმარებაც.

ქომიკებს და რეზონიორებს უხდებათ მელოტი ან გაკრეჭილი პარიკები—მდაბიო ტიპისათვის დიდი ბალანიანი პარიკი გამოდგება; კლასიკური ავაზაკებისათვის, აგრეთვე ყოველი მხნე შეუდრკე�eელი ბოროტ მოქმედისათვის ხმარობენ რიჟა გაკრეჭილ პარიკებს. **ხ**უჭუჭი თმიანი პარიკები უხდება უდარდელ, მუდამ მხიარულ ტიპს. **შ**ავი პარიკები უხდება სამხრეთის ტემპერამენტს. **ქ**ერა პარიკი უხდება ახალგაზდებს, ჩრდილოეთის მცხოვრებს და სხვა.

ერთის სიტყვით პარიკი ყოველ შემთხვევაში უნდა ეთანხმებოდეს ტიპს, ხასიათს, წოდებას, წლოვანობას, ტემპერამენტს და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიმისათვის ხმარობენ სხვა და სხვა კრასკებს (ფერებს), უმთავრესი მთვანი არის თეთრი, შავი, ყავისფერი ან ლეგანი და წითელი. ბრიმის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ავრეთვე ეგრეთ-წოდებული „კრეპე“—ეს არის მომზადებული ბალანი, თმა, რომლიდამაც იკეთებენ, წვერს, ულვაშებს და სხვა.

ახლა უცხოეთში და ზოგან რუსეთშიაც ცოტათი განვითარებული და უკეთესი არტისტები ყველანი ბრიმიროკას თვითონ იკეთებენ და უნდა ესთქვათ რომ ეს მოვლენა სასცენო ასპარეზში მეტად სასიამოვნოა. მაგრამ თუ აქტორი თავის ხელით ვერ იკეთებს ბრიმსა, მაშინ საჭიროა რომ კარანდაშით დახატოს იმ ტიპის სურათი, რომელიც უნდა წარმოადგინოს, რადგან ყოველს აქტორს თავის შეხედულობა აქვს როლის სახეზედ, ესე იგი, ბრიმზედ და ამ რიგათ ბრიმიორი, ან როგორც ჩვენში ეძახიან, პარიკმახერი სურათის მიმსგავსებით გაუკეთებს ბრიმსა, მაგრამ აქტორმა თუ ხატვაც არ იცის, მაშინ უნდა დაწერილებით აუხსნას პარიკმახერს თავის როლის ხასიათი და თუ პარიკმახერი დახელოვნებული და გამოცდილია აქტორის სურვილისამებრ გაკეთებს ბრიმსა.

ყველა ეს შეეხება აქტორებს, რომელნიც სცენით სცხოვრობენ, მაგრამ ეხლა ხშირად იმართება წარმოდგენები პროვინციებში სცენის მოყვარეებისაგან და ამთ არც პარიკმახერი მოეპოვებათ და არც ბრიმის მასალები. ამისათვის ვგონებთ ურიგო არ იქნება ცოტა რჩევა მივსცეთ სცენის მოყვარეებს ბრიმის შესახებ.

ყველგან იშოვება ფერ-უმარილი, თეთრი და წითელი პუდრი და პრობკა.

პრობკას დიდი სამსახურის მოტანა შეუძლიან პროვინციებში და აი როგორ. პრობკას ერთი თავი გაუწვრილეთ როგორც კარანდაშსა — შემდეგ დაიჭირეთ სამთელზედ, ცოტათი დაიწვის და ამ გვარად შეგიძლიანთ იხმაროთ როგორც შავი კრასკა. თუ დაგჭირდათ ყავის ფერი კრასკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობკა აურიეთ (ჩაყავეთ) წითელს პუდრში; თუ გინდათ ნაცრის ფერი კრასკა თეთრ—პუდრში. ბებრის როლისათვის საკმარია თმაზე თეთრი პუდრი დაიყროთ—ამ გვარადვე მოექეცით წვერ-ულვაშსაც. საზოგადოთ უნდა ისე მოიქცეთ როგორც ზევით მოყვანილია რჩევა აკტიორებისათვის.

ვისაც შეძლება აქვს იმათ შეუძლიანთ გამოიწერონ თბილისის თეატრის პარიკმახერისაგან კრასკები, კრეპე და წებო.

რა თქმა უნდა პირველი ნაბიჯი ყოველთვის ძნელია, მაგრამ თან-და-თან შეეჩვევით.

(შემდეგი იქნება).

მტრედის საუბარი ბულბულთან.

ბულბულო! რადას ჭიკჭიკებ
სედავ დაგიდგა ზღვითარი,
ვარდმა დაჭკარა უვავილი
თოვლმა დაფარა მთა ბარი.

—

მაისის დილა გაგიქრა
დაგიდგა ცივი მარტია,
დღეში ათას ფრათ იცვლება
უწურება რადაც ხატია!

—

უვავი, და ბზიკი, ვეხვევა
არ უნდათ შენი სმენაო
იმიტომ რომე შენს სტვენას
ქვეყნისთვის მოაქვს ლხენაო.

ქაიხოსრო ბელოვინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

„თეატრის“ მეითხველები გვემდურებიან, რომ ამ გაზეთში არაფერსა ვწერთ თეატრზე. ჩვენა ვგრძნობთ, ეიტით ჩვენი დანაშაულობა; მაგრამ ამასთან ესეც უნდა ვსთქვათ, რომ თვალის გასამართლებელი საბუთებიც გვაქვს. ჩვენი სიჩუმის ერთი მიზეზთაგანი შემდეგი არის:

ჯერ ერთი, რომ არა სიმართლის დაპარკაკ სიჩუმე სჯობია. მართალს კი თუ ეიტეეთ, უნდა ცხენი გვეეანდეს შეკაზმული, შეკასდეთ და წაეიდეთ ამ ქვეყნიდამ თუ არა, ამ ქალაქიდამ მაინც. ესლა ეიდეთ სმას, ორიოდე სიტეეა უნდა ვსთქვათ, მაგრამ ესლაკე ეიტეთ, რა პასუხსაც მეეიღებთ ამითვან ვისზედაც ეილაპარაკებთ. სსა რომ არა იყოს რა, ამას მაინც უნდა მოეელოდდეთ, რომ ზოგი ერთი წეარი დრამატიული საზოგადოებისა, ჩვენი ნათქვამი სიტე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითიც არ გაუნძრევიათ სუზანისთვის მოსამზადებლად და არცა რა უზრუნველათ, თუმცა ხუთი — ექვსი თთვე წინ ადგა. — მაგრამ მაინც აქედან კომიტეტს და გასსაკუთრებით რეჟისორს. დარწმუნებულნი ვართ რომ ბ. „იეკრეის“ რეჟისორი ძალიან კარგათ იცნობს ჩვენ საზოგადოებას და, ჩვენის აზრით, ასე ამიტომ იქცეოდა, რომ არ უნდოდა დაწუბის უმაღლეს გული ბუტეხა კომიტეტისათვის: უმისოდაც დიმეთხსალი საზოგადოება უარესად დაეფერთხა... დაიწყო ლაღდება, ძახილი, ერთი ადამიანი ასტეხა; არიქა გეიშველეო, ესლა კი მიკვეგენით გაკვირვებიდან დამსხვენ ბერთ... მიეშველნეო, თორემ ისეა ამ გაკვირვებაში ჩავვეიეთო—და... და... საზოგადოებამაც დაიწყო საარეული. მაგრამ შუა ტომარაში არ დაიმალება. მოვიდნენ, ნახეს და ტეტ ეიესლეკილები და ცხვირ ჩამოშეებულები წავიდნენ. ეიმეორეს, ჩვენ ამ აზრისა ვიეკვეთ „იეკრეის“-ზე; მოგვეწონდა „იეკრეის“ „ჯერ-ჯერობით ამგვარი ქმნეკ ვ ჩვენ გაანბეთ სული და ადარას ვამბობდით. მაგრამ ესლა საზანი თავდება, საქმე ისევ ცუდათ მიდის და „იეკრეის“ კი გაჩუმდა...

რაგორც ეველფერს, ისე მოთმინებასაც უნდა ექონდეს საზმეღვარი. არ იქნება ცუდი, რომ ორიოდ სიტეკვა ესთქვათ საქმის გასასწორებლად. ამ დაგეწყოთ:

საზანი თავდება და კარგი ვერა გეგეგონეთ რა თეატრში, კარგი ვერა ვნახეთ რა. ფიეთი-ფიეე ახალი ბიესებიის ნახვას მოველოდით, მაგრამ ეარ ბეკეცარსა მათი ნახეა. (მგონია „ბაქა-ბუქი,“ რაკაც მიზეზების გამო ბ. რეჟისორისგან შეეკვრებული—არ ბეთვალდება). მართალია არა გვაქვს ნება მოგთხოვოთ კომიტეტს ორიგინალური ბიესები (კომიტეტში მთხზველები არ არიან), მაგრამ სრული ნება გვაქვს ხმა ძალეს დავეწეოთ ლაპარაკი, თუ ჩვენი ცხოვრების შესაფერს ვაქმათრგმნილ, ანუ ვაქმოკეთებულ ბიესებს არ გვაჩვენებენ... კარგი ინტერეზენიორების თითქმის გამოკეეტერებადთ ხალმე ეკარიდეთ: ორიგინალური ახალი ბიესები დადგითო, და ჩვენ კომიტეტს რომ ვაქმათარგმნილები მაინც მოგთხოვოთ რა სიერცხეილია. არ ვიტეთ, სწორედ მოგახსენოთ, რაში ვაქმოისტა კომიტეტის „ზრუნვა თეატრზე“, ამისი „ეკეთეს არ დაზოგეკ“, რაგორც ეეკერიდან „იეკრეის“. რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკეთეს: ან კომიტეტმა, ან იეგერისგან ფრთებ შესხმულმა რეჟისორმა. თუ ამის ვიტყვით რომ კომიტეტმა „სიზოგადოებამ“ სასარგებლოდ ბადი გამართა და რადაც 500 — 700 მ. ბიდო — ეს არც ისე დიდი საქმე ჩაუდენია და არც დიდს სამსხურში უნდა ჩაეთვალოთ. მაშინ იქნებოდნენ საქმენი, როდესაც ამ ფულის შოვნა და ქონა დეტეფობოდა თეატრს — თეატრის საქმეს: ან ბიესებს გადაათარგმნინებდნენ, ან გადაკეთებინებდნენ,, ან გადაწერინებდნენ—ერთი სიტყვით სეზონისთვის მოემზადებოდნენ... თორემ მექმად ნაშოვნი ბიესების რადენიმე კი არ გადაწერინეს, არამე თუ თვითონ შეეძინაო რამე, და—ამითი დიდად დაბრეკლეს წარმოდგენების მსვლელობა და აქტორებისგან რიგიანად როლების მომზადება.

თეატრის საქმეში თავი-და-თავი რეჟისორია. საქმის გაფუჭებაც იმის უნდა დაბრალდეს და გაკეთების მადლობაც—იმის ეძღვნას.

რეჟისორი ცხოვრებაში გამოცდილი უნდა იყოს. კარგა ამისა რეჟისორი უნდა იყვეს სამართლის მოყვარე, არ უნდა ასდევდეს არავის ენას, ყოველს სცენის მომსახურეს ღირსეულად უნდა აფასებდეს, უნდა აკვირდებოდეს და იცოდეს რომელს არტისტს რის ნაწილი აქვს და რისი არა და სხვა. ვინც ზემოხსენებულ ღირსებებს არის მოკლებული, ის არ კარგა სეფისოროდ და არც უნდა იეგესროს საზოგადო საქმე თეატრი.

ვისაც საზოგადო საქმის წარმოებას მიანდობენ და თვითონაც იკისრებს ამ საქმეს, ის არ უნდა იქნეოდეს ისე, როგორც თეთონა ‖ სურს: თავისი „მსურნა“ და „მნებავს“ უნდა დაუმორჩილდეს იმას, რაც ყველა სჯობს მინდობილი საქმისთვის.

ყველა ეს ჩვენ საზოგადოთ ვსთქვით, მაგრამ „ბამეგები თვითონ ბაიეგებს“

ყველა ამის კარგად დასში რაღაც უკმეოფილობა ისმის. ეს უკმეოფილობა არა ‖ ბვაკ ჩვეულებრივ უკმეოფილობას. დიდი ხანია ამ ამბავს, თუ შეიძლება ვსთქვთ, მოგდენას, თვალ ყურს ვადევნებთ და მიეკედით იმ დასკვნამდის, რომ დასის წევრნი არას ტეფეაან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასის მმართველებმა შეიძლება იქმდის მიიყვანონ საქმე, რომ კაცი რაც უნდა ერთგული მოსამსახურე იყოს თეატრისა, რაც უნდა ძალიან უყვარდეს ეს წმინდა საქმე, მაინც გულს ჰიცრუებენ და თავს დანებებენ ამ საქმეს.

საზოგადოდ ქართული თეატრის მმართველნი უნდა ცდილობდნენ გაამრავლონ რიცხვი სტენის მოყვარეთა და არა შეამცირონ; ეს უკანასკნელი მიუტანებელი შეცდომა იქნება.

აქ, ადგილის უქონლობის გამო, იძულებული კარ შეეწყვიტოლა ბარაგი...

ნურც კომიტეტს, ნურც რეჟისორს და ნურც სხვას, ნუ ეგონება, რომ ეს იყოს დაწერილი ვისამე სასაგებლად. ჩერგელმაც და მორემაც კარგათ იცინ, რომ მე არც ერთის მტერი ვარ და არც მეორისა. მაგრამ საზოგადო საქმე ყველას მირჩენია—და ამისათვის სიმართლეს გამოვიტანენ.

ორთაჭალელი.

ხალხური ლექსები.

ტირიან თუშის ქალები
არ მოგვიგიდნენ ქმარები,
ვა თუ ლეკებმა წაასხნეს
დაეურევინეს თავები.

—

ეკვეკვებული ატამი
ჩავარიგე რიეის ჩირსა,
ქალო! ამას გეხვეწები
შემახედე გულის ჩირსა.

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგოჯ, დედიშენის შვილო
გადასრილო თემოშია,
შენთან ისრე მოვისვენებ,
როგორც ფური ეზოშია.

—

ნეტავ გოგოვ დედა-შენმა
აიღოს და ქვა დამცესა,
მტერი წუალში გადავარდეს,
შენი თავი მე დამრჩესა.

—

როდის იქნება გათენდეს
გამოსულიეავ კარზედა,
ათამაშებდე ბრილ თითებს
გაშლილსა სალიჩაზედა.

—

წადი წიგნო ჰირ-მზესთანა
ჰირმა მთვარემ მოგიკითხოს,
ჩემი გკითხოს მოახსენე:
საბრალო ვარ გამიკითხოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

ბითოლეთ დაბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: დიდის პატივის ცემით და კრძალვით ვაცნობებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ჩვენგან მოგონილი მაშინა ქართული ენის შესასწავლებლად „ფრანსიული“ ენის წყალობით—უკვე მოქმედობს. „მეხანისმი“ ამ მაშინისა გაკეთებულია „პარისში“ და მწარმოებლად აყენია „პარისშიე“ გაწერთნილი და გამოცდილი ბ. დ. კ.—შვილი. პირველი ნაწილი სამაგალითო სახელმძღვანელოსი უკვე დაიბეჭდა, სახელად ეწოდება „საქებართა ძებანი.“ მოელოდეთ მეორესაც.

მოენენი: { (ბ. მ—შვილი.
(დ. კ—შვილი.

კვირიდან-კვირამდე.

კაცმა რომ ყური უგდოს ჩვენ ცხოვრებას, დაინსომის ყველა რასაც ჭნახავს, გაიგონებს და წაიკითხავს, მიეკ ამ დასკვნამდის, რომ მარტო ის არის საკვირველი რასაც ესლა არ მოიგონებენ, რაც ესლა არ მოხდება:

ერთმა პატივცემელმა ბაკალმა (მეწერიმალემ) სენ-დენში გასაკვირველი სქონელი მიიღო. ამ მეწერიმალემ კონლოდამ გამოიწერა რამდენიმე ბოჩკა ზეთი. მოუვიდა გამოწერილი ზეთი, მაგრამ როდესაც გახსნა ერთი იმ ბოჩკათაგანი ნახა, რომ შიგ იდო კოლოლელი არაბი. ფრანცუზები ჯერ არ მისულან იქამდის, რომ ამ გვარი მუეუეი იხმარონ და ამისათვის ხსენებულმა ბაკალმა გამოამყლავნა ეს ამბავი. მოიდა გამომმიბელი და ბრძანა: რადგანაც ეს არაბი თავის უნებურად მოპრძანდა კოლოდამ, თავის უნებურადვე დაასაფლავეეთო... ადგა და წავიდა... ბაკალმა რასაკვირველია იზარალა ამ ზეთში და რადგანაც შემოსავალ-გასავალს სწერდა წიგნში—ეს ჩასწერა შემდეგი სიტყეებით: „ერთი არაბი, 50 ფრანკი, მისი დასაფლავება 60 ფრანკი—მაშა სადამე დაუნის მოგებიდამ უნდა გამოგრისხო 110 ფრანკეო.“

რადგანაც მკვდრებზე დავიწეეთ ლაპარაკი—განვაგრძოთ: ერთი ვაკაბატონი, რომელსაც ჭქონდა ბაეფორთი ბარონ დიერანის სახელითი და სცხოვრობდა (ვითომც) „კურტრუე“—ში ხშირად მოგზაურობდა „ტურკეან“—ში სამგლოვიარო ლანისამოს ჩაცმული. ამ ბარონს ყოველთვის მოჭქოდა ცალკე ვაგონში დაბეჭდილი და ვარდეებით მორთული კუბო და თვალ-ცრემლიანი შეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიოდა" ყველას, რომ მუხთალი ბედი სდევნის საცოდავ ბარონს და ზედი—ზედ მიჰკავს იქ, სიიდგანაც აღარ ბრუნდებიან, სხვა ღა სხვა წყვრნი საცოდავი ბარონის სახლოსისა—რომელთაც ეზიდება თავის სამშობლოში დასასაფლავებლად. როგორც მოგეხსენებიან ყველასა აქვს დასასრული და არც ეს ამბავი დარჩა გამოუქცევნებელი. სწორედ შობის წინა დღეს დამოყენის უფროსმა გამოუცხადა ამ ბარონს თავისი გულითადი მწუხარება და სთხოვა ეჩვენებინა ბედკრული გარდაცვლებული. აჭსდეს კუბოს და ო... ო... ო...! მუხთალო წუთის სოფელო რას არ მოახდენ!! გარდაცვლებულის მაგიერ ნახეს მშვენივრად ჩალაგებული ძვირფასი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამ-ხატვრო გაზეთი.

„თეატრი“

კარგია 1887 წელსა იმავე პროგრამითა და შინაარსით რო-გორც აქამდე, წლის ბოლოს კავკასიი თეატრიდგან შესდგება ორი დიდი წიგნი, რომელიც შეიცავს 1664 გვერდს.

თეატრში დაბეჭდებიან სხვათა შორის: მოთხრობანი, რო-გორც ორიგინალური აგრეთვე საუკეთესო უცხო თხზულებათა თარგმანი, პიესები, ანეკდოტები, მოსწრებული სიტყვები, გასარ-თობები, სალური ლექსები, სამატემატიკო გამოცანები, ანდაზები ჭრიტიკა, ბიბლიოგრაფია, რეცენზიები და სხვა და სხვა...

რადგანაც აქა-იქა სოფლებში მატეულობს რიგსი სტენის მოუკარეთ, ამისთვის რედაქცია თავის მოკალეობათ ჭრაგსს და-ეამეოდოს მათი სურვილი სტენაზე ადვილად წარმოსადგენი პიესების ბეჭდით.

კავკასიი თეატრში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციას უკვე აქვს რამდენიმე ახალი ორიგინალური თხზუ-ლება ჩვენის გამოჩენილის მწერლებისა.

☛ წლიური ხელის მომწერნი წლის დამლეგს მიიღებენ სა-ჩუქრად ოქროს კარაყიან ედაში შეკრულს დიდ წიგნს, რომელ-შიაც იქნება არა ნაკლებ სამი კეთილიანი პიესისა და რომელიც ეღირება არა ხელის მომწერთათვის ორი მანეთი.

ფასი კავკასიი თეატრისა: ერთი წლით 5 მ. ნახევარ წლით 3 მ.

რედაქციის კანტორა არის ოქრომჭედლების ქუჩაზე № 48. (სემინარიის პირ-და-პირ.)

ადრესი გარეშე ხელის მომწერთათვის:

Тифлисъ. Контора редакціи газеты „ТЕАТРЪ“.
Серебряная ул. № 48 (противъ Семинаріи).

Дозв. Ценз. Тифл. 17-го Января

გრ. ჩარკვიანის სტამბა.